



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოებას საქართველოში

ჩა უნდა გავაქეთოს
ეპროკავშირება საქართველოში
სამართალდამცავი
ორგანიზაციის
ანგარიშვანდებულებისა და
დამოკრახიებული კონსტრუქციის
ხელშეწყობის მიზნით

ნარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს პერიოდს 2017 წლის იანვრიდან ნოემბრამდე.

ჯვშონი:

ანა ნაცვლიშვილი*

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ სახელით

რეცენზენტი: პროფ. ტობიას შუმახერი

თარგმანი: ანა გეგეჭკორი

დოკუმენტი მომზადებულია ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ შიდა პროექტის „ევროკავშირ-საქართველოს შორის ასოციირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“. ტექსტისა და კომენტარების ავტორის მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განცხადებები მხოლოდ მას ეკუთვნის და არ გამოხატავს ფონდის მოსაზრებას. შესაბამისად ფონდი მასალის შინაარსზე პასუხს არ აგებს.

*ანა ნაცვლიშვილი „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარეა. მას მოპოვებული აქვს სამართლის მაგისტრის ხარისხი ადამიანის უფლებების სფეროში ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (2006-2007, უნგრეთი) და სამართლის მაგისტრის ხარისხი ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სფეროში (2011-2012, გაერთიანებული სამეფო).

შესავალი

საქართველოს ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების, მათ შორის წამების გამო სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა დაუსჯელობის ხანგრძლივი ისტორია აქვს. ფართოდ არის გავრცელებული აზრი, რომ საქართველოს ციხეებში დამკვიდრებული წამების ამსახველი ფართული ვიდეოჩანაწერების გაქონვამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ოპოზიციის გამარჯვებაში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

ამ ფონზე გასაკვირი არცაა, რომ ახალ მთავრობას დაბეჭივებით ურჩევდნენ წამებისა და მსგავსი დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლის დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნას.¹ 2014 წლის ივნისში საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, მის თანმხლებ 2014-2016 წლების ასოცირების დღის წესრიგთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს იმის საჭიროებაზე, რომ საქართველომ გაზარდოს სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულება და დემოკრატიული კონტროლი. აღნიშნული დოკუმენტი ხაზს უსვამს პოლიციისა და პროკურორების წინააღმდეგ საჩივრებზე „სათანადო რეაგირების პროფესიული, ეფექტიანი მექანიზმის“ უზრუნველყოფის მნიშვნელობას; ამ მიზნით ასოცირების დღის წესრიგში საუბარია იმაზე, რომ საქართველომ უნდა განიხილოს „საჩივრებზე რეაგირების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი და ქმედითი მექანიზმის შექმნა, მსგავსი შემთხვევების გამოძიების მიზნით“.²

მთავრობის მიერ 2014 წელს მიღებული ოფიციალური დოკუმენტი - ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა - კიდევ ერთხელ ახსენებს სახელმწიფოს ასეთი მექანიზმის შექმნის ვალდებულებას.³ დაბოლოს, ადამიანის უფლებათა ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციები, ისევე, როგორც სახალხო დამცველი, აქტიურად უჭერენ მხარს ამგვარი მექანიზმის შექმნას.⁴

მიუხედავად ამისა, პოლიციის მიერ ძალის გადამეტების (მათ შორის წამების) შემთხვევების გამოძიება დღემდე პროკურატურის ხელში რჩება, ანუ იმ ორგანოს ხელში, რომელიც 2012 წლამდეც პასუხისმგებელი იყო მსგავს გამოძიებებზე, მაგრამ სრულიად ვერ გაართვა თავი ამ ამოცანას. ასეთი წარსულის, ასევე პოლიციის მხრიდან თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბოლოდროინდელი შემთხვევების გამო, რომლებიც ეფექტიანად და დროულად არ იქნა გამოძიებული,⁵ აღნიშნული ორგანო [პროკურატურა] ძალზე დაბალი ნდობით სარგებლობს ქართულ საზოგადოებაში. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არასათანადო მოპყრობის შემთხვევების სიმძიმე და მასშტაბი დღესდღეობით აშკარა

1 იხ. კონსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმისა და ადამიანის უფლებების საკითხებში ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის თომას ჰამარბერგის მომზადებული ანგარიში. საქართველოს მთავრობამ იგი ევროკავშირის დახმარებით მოიწვია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალი მთავრობისთვის რეკომენდაციების მისაცემად. სხვა რეკომენდაციებთან ერთად მან საქართველოს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ჩამოყალიბებაც ურჩია. რეკომენდაციების შემცველი სრული ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://gov.ge/files/38298_38298_595238_georgia_in_transition-hammarberg1.pdf

2 იხ. ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების დღის წესრიგი, 2014 (მუხლი პოლიტიკური დიალოგის და რეფორმების შესახებ).

3 მსგავსი რეკომენდაციები საქართველომ ჯერ კიდევ 2005 წელს მიიღო გაერო-ს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში წამების შესახებ. აღსანიშნავია, რომ 10 წლის შემდეგ გაერო-ს მომდევნო სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში იგივე რეკომენდაციები გაჟღერებული.

4 იხ., მაგალითად, კოალიციის „გამჭვირვალე და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისათვის“ 2017 წლის მიმართვა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისადმი, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: http://www.coalition.ge/files/letter_to_the_committee_of_ministers.eng.pdf

5 იხ. „სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა სავარაუდო დანაშაულებები და სახელმწიფოს რეაგირება მათზე“: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) მიერ 2016 წლის საქმეებზე მომზადებული ანალიზი <https://gyla.ge/files/news/2016.pdf>

რად განსხვავებულია (განსაკუთრებით პენიტენციურ სისტემაში) და არ არის ისეთი მძიმე, როგორც 2012 წლამდე იყო. თუმცა, ამგვარ შემთხვევებზე სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური რეაგირება, რაც დამოუკიდებელი, სწრაფი და ეფექტიანი გამოძიებით გამოიხატება, ისევე მიუღწეველია, როგორც ადრე. არასათანადო მოპყრობისთვის დაუსჯელობა კვლავ სერიოზული გამოწვევაა.

გარდა ამისა, მიუხედავად ბოლო პერიოდში განხორციელებული ინსტიტუციური რეფორმებისა, მიიჩნევა, რომ პროკურატურა კვლავაც პოლიტიზებულია.⁶

გემოლინიშნული ფაქტების გათვალისწინებით ჩნდება კითხვა: რამდენად დაზღვეულია საქართველო იმისგან, რომ ქვეყანა ისევე არ დაუბრუნდება სისტემური წამებისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების ადრე გავრცელებულ პრაქტიკას, თუკი იმ პერიოდის შემდეგ, როდესაც წამება მწვავე პრობლემა იყო, კვლავაც არ შექმნილა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარანტიები? შეუძლია თუ არა საქართველოს მიაღწიოს ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრულ მიზნებსა და დემოკრატიის განმტკიცებას სრულიად დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სამართალდამცავი სისტემის, მათ შორის დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის, შექმნის გარეშე?

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი წარმოაჩენს თუ რა მასშტაბისაა სამართალდამცავი უწყებების ანგარიშვალდებულების ნაკლებობის და დაუსჯელობის პრობლემა, და რა გავლენა აქვს მას საქართველოში კანონის უზენაესობასა და დემოკრატიაზე. დოკუმენტი ასევე აჩვენებს რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირმა უფრო მეტად გაამახვილოს ყურადღება საქართველოს მხრიდან ვალდებულების - შექმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი - შესრულების აუცილებლობაზე.

რატომ არის მიუღებელი სტატუსი კომისიის შენარჩუნება?

დღეისათვის საქართველოში არ არსებობს სამართალდამცავი ორგანიზაციის ეფექტიანი ანგარიშვალდებულების მექანიზმი. გენერალური პროკურატურა სისტემატურად ვერ ახორციელებს სამართალდამცავების მიერ დანაშაულის ჩადენის ბრალდებების ეფექტიან და დამოუკიდებელ გამოძიებას; სუსტია ან საერთოდ არ არსებობს სამართალდამცავ ორგანიზებზე სასამართლო კონტროლი, ისევე, როგორც საპარლამენტო ზედამხედველობა.

საქართველოს სახალხო დამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციები 2014 წლიდან ითხოვენ გამოძიებას არასათანადო მოპყრობის 91 ფაქტზე. ამ შემთხვევებიდან დღესდღეობით მხოლოდ ორ პირს წაუყენეს ბრალდება და არცერთ პირს არ დაკისრებია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.⁷

6 იხ., მაგალითად, ვენეციის კომისიის, ევროპის პროკურორების საკონსულტაციო საბჭოს (CCPE), ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) ერთობლივი მოსაზრება „პროკურატურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, დამტკიცებული ვენეციის კომისიის 104-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 23-24 თებერვალი, 2015), პუნქტი 10, ხელმისაწვდომია ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2015\)039-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2015)039-e); იხ. ასევე პოლიტიკის დოკუმენტი „პროკურატურის რეფორმა საქართველოში – რა დევს სასწორზე?“ 2016, ავტორი ანა ნაცვლიშვილი, ხელმისაწვდომია ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: <http://www.osgf.ge/files/2015/Publication/EU-Georgia%20Association%20report6.pdf>

7 „საქართველოში ბოლო წლებში წამებისა და არასათანადო მოპყრობის მხრივ არსებული ვითარების მოკლე ანალიზი“, ბესარიონ ბოხაშვილი, 2017 წ. ხელმისაწვდომია ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: http://www.osgf.ge/files/2017/Cameba%20cixeebshi/Final_ENG.pdf

ეს და სხვა არსებული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ სამართალდამცავ სისტემას ძალიან უჭირს გამოიძიოს მისივე წარმომადგენლების მიერ ჩადენილი დარღვევები. სტატისტიკა ასევე მეტყველებს იმაზე, რომ გადაუდებელი აუცილებლობაა მოგვარდეს სამართალდამცავი ორგანოების დაუსჯელობის პრობლემა გრძელვადიანი გადაწყვეტის გზით.

სახალხო დამცველი და ადამიანის უფლებადამცველები კვლავ საუბრობენ სისტემურ პრობლემებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებს წამების ფაქტების გამოძიების ეფექტურობას. **პირველი**, ინტერესთა კონფლიქტები და იერარქიული კავშირები პროკურატურასა და ასეთ საქმეებთან დაკავშირებულ პოლიციის ოფიცრებს შორის იმთავითვე გამორიცხავს საზოგადოების ნდობას ამგვარი გამოძიებისადმი. **მეორე**, დანაშაულის არაჯეროვანი კვალიფიკაცია: წამებად (ან არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებად) კვალიფიცირების ნაცვლად, ასეთი საქმეები ძირითადად კვალიფიცირებულია როგორც უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. გარდა იმისა, რომ ამ ორ დანაშაულს სხვადასხვა სანქციები შეეფარდება, ასეთი პრაქტიკა იწვევს წამების შემთხვევების შესახებ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების უზუსტობას და, შესაბამისად, შეცდომაში შემყვანია. **მესამე**, მოსამართლეთა როლი პოტენციური წამების შემთხვევებში ძალიან შეზღუდულია. მოსამართლეებს არ გააჩნიათ უფლება ან მოვალეობა, მოითხოვონ ეფექტიანი გამოძიების ჩატარება, როდესაც საფუძვლიანი ეჭვი აქვთ, რომ პირი, რომელიც მათ წინაშე წარდგა, ანამეს; მათ არც იმის უფლება აქვთ, რომ აღნიშნული პირის დასაცავად ზომები მიიღონ, ან საქმისთვის მნიშვნელოვან მასალებზე წვდომა მოითხოვონ. **მეოთხე**, წამების მსხვერპლი არ არის ასეთად აღიარებული გამოძიების პროცესში. დაზარალებულის სტატუსის არმინიჭება, მას ართმევს უფლებას, საქმის მასალებზე წვდომა ჰქონდეს და, შესაბამისად, გამოძიების მიმდინარეობა შეაფასოს. **მეხუთე**, აღინიშნება საშიში ტენდენცია, რომ არასათანადო მოპყრობის ბრალდებების გამოძიება ან წყდება, ან ჭიანჭურდება რაიმე ქმედითი შედეგის გარეშე, ხოლო ვინც ასეთ ფაქტებზე ხმას აიმაღლებს, თავად მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში; ისეთი შემთხვევაც კი იყო, როდესაც ზოგიერთს განაჩენი ცრუ ბრალდებების გამო გამოუტანეს.

ნა უნდა უჭებავ დემოკრატიას არანგარიშვალდებულები სამართალდამცავი სისტემა?

წამების დაუსჯელობა სავალალო გავლენას ახდენს დემოკრატიასა და კანონის უზენაესობაზე. პირველი, ეს მიუთითებს სამართალდამცავებსა და პოლიტიკურ ელიტებს შორის „ლოიალური კავშირების“ არსებობაზე. მმართველი ელიტა თანახმაა, თვალი დახუჭოს სამართალდამცავების მხრიდან თანამდებობის ბოროტად გამოყენებაზე და სანაცვლოდ, საჭიროების შემთხვევაში, სამაგიეროს მოითხოვს. ამგვარი სამაგიერო განსაკუთრებით სასარგებლოა საარჩევნო პერიოდის დროს, აგრეთვე სახელმწიფო პოლიტიკით საზოგადოების უკმაყოფილების შემთხვევაში და ა.შ. შედეგად, მმართველი ელიტა თვალს ხუჭავს პოლიციის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებაზე და, შესაბამისად, იწყებს სამართალდამცავი სისტემის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას; სამართალდამცავი ორგანოები პრაქტიკულად უფრო მეტ ძალაუფლებას იღებენ, ვიდრე ეს მათ კანონით აქვთ მინიჭებული. ასეთი დე ფაქტო უფლებამოსილება მათ საშუალებას აძლევს, არა მხოლოდ სარგებელი მიიღონ დაუსჯელობისგან, არამედ ზოგჯერ ამას შეუძლია გავლენა იქონიოს მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებზე და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ახალი ინიციატივები საფრთხეს უქმნის მათ პარტიზანულ ინტერესებს. ეს კიდევ უფრო მეტად აფერხებს ესოდენ საჭირო რეფორმებს სამართალდამცავ სისტემაში, რათა ეს უკანასკნელი უფრო

გამტვირველად, ანგარიშვალდებული და კანონმორჩილი გახდეს. მეორე, წამების გამო დაუსჯელობა ძალზე სახიფათოა: როდესაც სამართალდამცავი ორგანოები ხედავენ, რომ წამება და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა წახალისებულია სახელმწიფოს მხრიდან ან სახელმწიფო, სულ მცირე, თვალს ხუჭავს ამავ, მეტი ალბათობაა იმისა, რომ მათ აპატიებენ უფრო ნაკლებ გადაცდომას. როგორც არაერთი ქვეყნის პრაქტიკა ცხადყოფს, წამებისთვის დაუსჯელობას აუცილებლად მოჰყვება ადამიანის სხვა ფუნდამენტური უფლებების პატივისცემის და დაცვის გაუარესება. მესამე, იმის გათვალისწინებით, რომ ხშირ შემთხვევაში არასათანადო მოპყრობა პირის მიერ დანაშაულის აღიარების მიზნით გამოიყენება, წამებისთვის დაუსჯელობა კიდევ მეტად რყვნის მართლმსაჯულების სისტემას, რადგან უკანონოდ მიღებული მტკიცებულების გამოყენების საშუალებას იძლევა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი: მანდატი

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი უნიკალური არ იქნება საქართველოსთვის. მსგავსი ინსტიტუტები, განსხვავებული მანდატებით, უკვე არსებობს უკვე ჩამოყალიბებული დემოკრატიის მქონე და შედარებით ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებში (მაგ. კანადა, ისრაელი, ავსტრალია, სამხრეთი აფრიკა).

საერთაშორისო პრაქტიკისა და ადგილობრივი კონტექსტის ანალიზზე დაყრდნობით არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს საქართველოს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კონკრეტული მოდელი, რომელსაც აქვს დამოუკიდებლობის ყველა საჭირო ინსტიტუციური და ფუნქციური გარანტია. პროექტი დადებითად შეაფასეს საერთაშორისო ექსპერტებმაც.

კანონპროექტის თანახმად, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი დამოუკიდებელი ორგანო უნდა იყოს, რომელიც პარლამენტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული. მისი თავმჯდომარე (კომისარი) ფიქსირებული ვადით აირჩევა. კანონპროექტში მოცემულია შერჩევის პროცედურების დეტალური აღწერა; შერჩევის პროცესში უზრუნველყოფილია საპარლამენტო უმცირესობის მონაწილეობა. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ხელმძღვანელის განთავისუფლება მხოლოდ წინასწარგანწერილი საფუძვლით იქნება შესაძლებელი. სამსახურიდან გათავისუფლების გასაჩივრება შესაძლებელი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოში.

საგამოძიებო მექანიზმს ექნება ექსკლუზიური იურისდიქცია, გამოიძიოს წამებისა და სიკვდილის შემთხვევები, ასევე ექნება დამატებითი იურისდიქცია - გამოიძიოს ისეთ მძიმე დანაშაულები, რომელთა გამოძიების პროცესში სხვა საგამოძიებო ორგანოებს ექნებათ ინტერესთა კონფლიქტი. ყველა შემთხვევაში დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ფუნქცია იქნება გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და ბრალდების მხარდაჭერა.

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებული გამოწვევები

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ოპონენტები ხშირად აცხადებენ, რომ საჭირო არ არის აღნიშნული მექანიზმის შექმნა, რადგან ის პროკურატურის ფუნქციების დუბლირებას ახდენს. ეს აზრი მიზანმიმართულად უგულებელყოფს ორ მნიშვნელოვან საკითხს:

- 1) იმ ფაქტს, რომ პროკურატურა რეგულარულად ჯეროვნად ვერ ასრულებს თავის მოვალეობას;
- 2) მაშინაც კი, თუ პროკურატურა საბოლოოდ ჩამოყალიბდება პოლიტიკურად ნეიტრალურ და დამოუკიდებელ ორგანოდ, ორი რამ უნდა იქნეს გათვალისწინებული: პირველი, დაგვიანებული მართლმსაჯულება არის უარყოფილი მართლმსაჯულება: აღნიშნული სამსახურის ზომისა და მასში ღრმად ფესვგადგმული პრობლემების გათვალისწინებით, პოლიტიკურად ნეიტრალურ, დამოუკიდებელ და ეფექტურ ორგანოდ პროკურატურის გადაქცევას წლები დასჭირდება. მეორე, ამჟამინდელი ინსტიტუციური მოწყობის მიხედვით, რომელიც არ შეიცვლება, თუნდაც პროკურატურა დამოუკიდებელი ორგანოს სახით ჩამოყალიბდეს, არსებობს თანდაყოლილი ინტერესთა კონფლიქტი და იერარქიული კავშირები პროკურატურას და პოლიციას შორის. ასეთი მჭიდრო კავშირი ორ ინსტიტუტს შორის ეჭვქვეშ აყენებს ერთი სამსახურის მიერ მეორის წარმომადგენლებთან დაკავშირებით წარმოებული სხვადასხვა გამოძიების სამართლიანობას და ნდობას მათ მიმართ.

ასევე საკამათოა ამ მექანიზმის ზუსტი მანდატის ფარგლები. ოპონენტები ამტკიცებენ, რომ მას არ უნდა ჰქონდეს სისხლისსამართლებრივი დევნის უფლებამოსილება, არამედ მხოლოდ გამოძიებით უნდა შემოიფარგლოს. საკითხის ასეთი გადანაცვება მნიშვნელოვნად შეასუსტებს საგამოძიებო მექანიზმს და ზოგადად წამების წინააღმდეგ ბრძოლას.

ამგვარი მექანიზმის შექმნის წინააღმდეგ გამოთქმული დამატებითი არგუმენტია პოტენციურად მაღალი ხარჯები, რაც მის შექმნასთან და ფუნქციონირებასთან იქნება დაკავშირებული, რომლის გადახდაც გაუჭირდება საქართველოს, როგორც საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყანას. ეს შეიძლება პრობლემა იყოს, მაგრამ რესურსების უკმარისობა არ არის ლეგიტიმური არგუმენტი სახელმწიფოსთვის, რომ თვალი დახუჭოს ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლებების დარღვევაზე, როგორცაა სიცოცხლის უფლება, წამებისა და არასათანადო მოპყრობისაგან თავისუფლება და სამართლიანი სასამართლოს უფლება. გარდა ამისა, საუბარია არა დიდი ზომის დანესებულების, არამედ დამოუკიდებელი და ეფექტიანი სამსახურის შესახებ; თუ იარსებებს ფუნქციონალური, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი მექანიზმის ჩამოყალიბების ნამდვილი პოლიტიკური ნება, სავსებით შესაძლებელია აღნიშნული მიზნის მიღწევა გონივრული ბიუჯეტით, რომელიც ისეთი ქვეყნისთვისაც ხელმისაწვდომია, როგორც საქართველოა.

დაბოლოს, ისმის კითხვა, ვინ დააყენებს საგამოძიებო მექანიზმის წარმომადგენლების პასუხისმგებლობის საკითხს, თუკი ისინი თავად ჩაიდენენ დანაშაულს? მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელოვანი კითხვაა, ამ შემთხვევაში სასარგებლო იქნება საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება და მასზე დაყრდნობით ამ საკითხის გადანაცვება.

საბოლოო ჯამში, ამგვარი ორგანოს შექმნისადმი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის მიუხედავად, მთავრობამ ჯერჯერობით ვერ წარმოადგინა ეფექტიანი ალტერნატივა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა შესრულდეს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული პოლიციის ანგარიშვალდებულებისა და სამართალდამცავი ორგანოების დემოკრატიული კონტროლის ვალდებულება.

ჩაკომენდასია

- საქართველომ სწრაფი, გამჭვირვალე და ეფექტიანი რეფორმა უნდა განახორციელოს სამარ-
თალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამომძიების დამო-
უკიდებელი მექანიზმის ჩამოსაყალიბებლად;
- ევროკავშირს შეუძლია ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს იმისათვის, რომ საქართვე-
ლოს მთავრობაში გაჩნდეს პოლიტიკური ნება - შეიქმნას დამოუკიდებელი საგამომძიებო მექა-
ნიზმი. შესაბამისად, ევროკავშირმა მეტი ყურადღება უნდა გაამახვილოს და ამ პირობის შესრუ-
ლება სხვა საკითხებზე თანამშრომლობის მნიშვნელოვან წინაპირობად უნდა განიხილოს.